პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

მსოფლიო პრაქტიკა

აგვისტო / 2022

მთავარი სიახლეები

დიდ ბრიტანეთში ჯანდაცვის ყოფილი მრჩეველი პაციენტის ჩანაწერებზე არალეგალური წვდომის გამო დამნაშავედ იქნა ცნობილი

WhatsApp" მიმოწერის სუსტ დაშიფვრასთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე უარს აცხადებს

ლატვიის მონაცემთა დაცვის სახელმწიფო ინსპექციამ გამოაქვეყნა მითითებები მონაცემთა დაცვის ოფიცრის როლის შესახებ

საფრანგეთის საზედამხედველო ორგანომ კომპანიას ჯარიმის სახით 600 000 ევრო დააკისრა

დიდ ბრიტანეთში უცხოელი დამნაშავე მიგრანტების კონტროლის მიზნით, სახის ამომცნობი ჭკვიანი საათების გამოყენება იგეგმება

09.08.2022

ფოტო: theguardian.com

[დიდი ბრიტანეთის მთავრობა დანაშაულისათვის მსჯავრდებული მიგრანტების მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, ჭკვიანი საათების გამოყენებას გეგმავს.]

Home Office-ის განცხადების თანახმად, ჭკვიანი საათების გამოყენების მიზანია საემიგრაციო კონტროლს დაქვემდებარებული პირების ყოველდღიური მონიტორინგი. ამ სახის კონტროლი გავრცელდება მხოლოდ უცხოელ დამნაშავეებზე და არა თავშესაფრის მაძიებლ პირებზე.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის თანახმად, ელექტრონული მონიტორინგი არის პატიმრობის ეფექტიანი ალტერნატივა, რაც მიზნად ისახავს საზოგადოების დაცვას და დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის ალბათობის შემცირებას.

აღნიშნული გეგმის მიხედვით, მსჯავრდებულ მიგრანტებს მოეთხოვებათ ჭკვიანი საათების მეშვეობით, რომელშიც დაინსტალირებულია სახის ამომცნობი სისტემა, დღეში 5-ჯერ გადაიღონ ფოტოები. საათების საშუალებით პირთა ადგილმდებარეობა კონტროლდება მუდმივ რეჟიმში.

ფოტო: mashable.com

ჭკვიანი საათებით უცხოელ მსჯავრდებულ მიგრანტთა შესახებ გროვდება შემდეგი სახის პერსონალური ინფორმაცია: ფოტოსურათი, სახელი, დაბადების თარიღი და ეროვნება. ინფორმაციის შეგროვების შემდეგ ხდება მონაცემების შედარება ეროვნულ მონაცემთა ბაზის სისტემასთან. თუ მონაცემების ვერიფიკაციის გავლა ვერ მოხდება, პირის შემოწმება განხორციელდება სხვაგვარად. მონაცემები ინახება Home Office-ს მიერ 6 წლის ვადით.

ეროვნულ დონეზე, ზემოაღნიშნული საათის გამოყენება კრიტიკის საგანი გახდა. კერძოდ, აღინიშნა, რომ ამ ტექნოლოგიის გამოყენებამ, შესაძლოა, ნეგატიური გავლენა იქონიოს მიგრანტების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. მაგალითად, ელექტრონული მონიტორინგის დროს ზოგიერთ ადამიანს შეიძლება განუვითარდეს შფოთვა, დეპრესია, სუიციდური აზრები და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები.

დიდ ბრიტანეთში ჯანდაცვის ყოფილი მრჩეველი პაციენტის ჩანაწერებზე არალეგალური წვდომის გამო დამნაშავედ იქნა ცნობილი

09.08.2022

ფოტო: gdprbuzz.com

დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის ყოფილ მრჩეველს ჰქონდა პაციენტის სამედიცინო ჩანაწერებზე არალეგალური წვდომა, რის გამოც იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი.

ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, ჯანდაცვის ყოფილ მრჩეველს წვდომა ჰქონდა იმ პაციენტების (14 პირი) სამედიცინო ჩანაწერებზე, რომლებსაც იგი პირადად იცნობდა. აღნიშნული განხორციელდა არასამსახურებრივი მიზნით და ამის შესახებ არც უწყება იყო ინფორმირებული. საქმე შეეხებოდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს.

ზემოაღნიშნულმა ფაქტმა მსხვერპლ პაციენტებში შეშფოთება გამოიწვია, რის გამო ზოგიერთმა ექიმთან ვიზიტზეც კი განაცხადა უარი.

ჯანდაცვის ყოფილმა მრჩეველმა აღიარა, რომ პერსონალურ მონაცემებს კანონმდებლობის დარღვევით მოიპოვებდა. შესაბამისად, მას პაციენტებისათვის კომპენსაციის გადახდა დაეკისრა.

ფოტო: ico.org.uk

დიდი ბრიტანეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს (ICO) დირექტორის განცხადებით, ზემოაღნიშნული ფაქტი ერთგვარად შეახსენებს ხალხს, რომ სამსახურებრივი გზით პერსონალურ მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობა, აპრიორი არ გულისხმობს ამ ინფორმაციის გაცნობას.

დამატებით, ICO-ს დირექტორმა აღნიშნა, რომ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული ინფორმაციის თვითნებური გაცნობა შეიძლება, უკიდურესად შემაშფოთებელი იყოს დაზარალებულისთვის. ამგვარი ქმედება, წარმოადგენს პირად ცხოვრებაში ჩარევას და ასევე, საფრთხეს უქმნის პაციენტის ნდობას სამედიცინო დაწესებულების მიმართ.

ICO-ს დირექტორი მოუწოდებს ორგანიზაციებს, რომ საკუთარ თანამშრომლებს მიაწოდონ ინფორმაცია მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის მართვის პასუხისმგებლობის შესახებ, მათ შორის, თუ როგორ უნდა დამუშავდეს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.

“WhatsApp” მიმოწერის სუსტ დაშიფვრასთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე უარს აცხადებს

02.08.2022

ფოტო: livemint.com

დიდი ბრიტანეთის მთავრობა გეგმავს, რომ გამოავლინოს ბავშვთა სექსუალური ძალადობის ამსახველი სურათები, რომლებიც მოიცავს პირადი მიმოწერის შესაძლო სკანირებას.

მთავრობამ შეიმუშავა ონლაინ უსაფრთხოების კანონპროექტი, რომლის შესაბამისად, საკომუნიკაციო კომპანიებმა არ უნდა დაიშურონ ძალისხმევა ახალი ტექნოლოგიის დასანერგად, რათა განხორციელდეს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა. საამისოდ დაშიფრული მიმოწერის კომპანიებს (მაგ., “WhatsApp”) დაევალებათ ავტომატური სკანირების გამოყენება.

მთავრობის წარმომადგენლების თქმით, ყველამ, მათ შორის, ტექნოლოგიურმა კომპანიებმა, უნდა განახორციელონ ქმედითი ნაბიჯები და აიღონ პასუხისმგებლობა ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

დიდი ბრიტანეთის წარმოდგენილ შეთავაზებას მოჰყვა კრიტიკა. კერძოდ, აღინიშნა, რომ მიმოწერა აღარ იქნება პირადი ხასიათის და საფრთხე შეექმნება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

ფოტო: spiegel.de

“WhatsApp”-ის აღმასრულებელმა დირექტორმა (*Will Cathcart*) მთავრობის მიერ წარმოდგენილი შეთავაზების საპასუხოდ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკომუნიკაციო პლატფორმას მსოფლიოში მილიონობით ადამიანი იყენებს. შესაბამისად, იგი ვალდებულია, დაიცვას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთი და იგივე სტანდარტი ყველა ქვეყანაში.

მან აღნიშნა, რომ მთავრობის წინადადება გულისხმობს მიმოწერის პირდაპირ ან არაპირდაპირ წაკითხვას, რაც ხალხისთვის არ იქნება მისაღები. თუკი მიმოწერის უსაფრთხოება ნაკლებად იქნება უზრუნველყოფილი, პროდუქტი მომხმარებლებისთვის ნაკლებად სასურველი გახდება.

წარმოდგენილი გარემოებების გათვალისწინებით, “WhatsApp”-ის დირექტორმა განაცხადა, რომ ნებისმიერი მთავრობის ბრძანების მიუხედავად, არ იგეგმება საკომუნიკაციო პლატფორმის (“WhatsApp”) უსაფრთხოების შესუსტება.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ პერსონალური მონაცემები, რომლებიც არაპირდაპირ მიუთითებენ სექსუალურ ორიენტაციაზე, არის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები

01.08.2022

საქმეში: *OT v Vyriausioji tarnybinės etikos komisija* („ლიეტუვის მთავარი ეთიკის კომისია“), ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ მონაცემთა დაცვის წესების ფართო ინტერპრეტაციის საფუძველზე დაადგინა, რომ პერსონალურ მონაცემები, რომლის მეშვეობით შესაძლებელია პიროვნების სექსუალური ორიენტაციის იდენტიფიცირება, წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს.

ლიეტუვის კანონი „საჯარო სამსახურში საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერების შესახებ“ ავალდებულებს საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს გამოაქვეყნონ პირადი ინტერესების დეკლარაცია ინტერესთა კონფლიქტის გამოსავლენად. დეკლარაცია მოიცავს სხვადასხვა სახის დეტალურ ინფორმაციას ინდივიდის „მეუღლის, მასთან თანამცხოვრები პირის ან პარტნიორის“ შესახებ.

ფოტო: horizons-mag.ch

ლიეტუვის მთავარი ეთიკის კომისია არის საჯარო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ინტერესთა შეჯერების შესახებ კანონის გამოყენებაზე, ასევე, კერძო ინტერესების დეკლარაციების შეგროვებასა და შემოწმებაზე. კონკრეტული პირი, საქმეში მოხსენიებული, როგორც “OT”, იყო ლიტვის კანონმდებლობით მართული ორგანიზაციის დირექტორი, რომელიც იღებდა საჯარო სახსრებს და მოქმედებდა გარემოს დაცვის სფეროში. 2018 წელს ეთიკის მთავარმა კომისიამ დაადგინა, რომ კერძო ინტერესების დეკლარაციის წარუდგენლობით, “OT”-მ დაარღვია ინტერესთა შეჯერების შესახებ კანონის გარკვეული მუხლები.

“OT”-მ მიმართა სასამართლოს ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მიზნით და განმარტა, რომ მისი პირადი ინტერესების გამოქვეყნება უარყოფითად იმოქმედებს როგორც მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე, ასევე, სხვა პირების უფლებაზე, რომელთა შესახებ ინფორმაციის ასახვა მას დეკლარაციაში ევალებოდა.

ლიეტუვის სასამართლომ განიხილა, იყო თუ არა ინტერესთა შეჯერების შესახებ კანონით დადგენილი რეჟიმი ევროკავშირის GDPR-ის ფარგლებში განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების სტანდარტის შესაბამისი (GDPR, მუხლი 9). სასამართლოს მოსაზრებით, პირადი ინტერესების დეკლარაციაში შემავალი პერსონალური მონაცემები ექვემდებარებოდა ინფორმაციას დეკლარანტის, მისი მეუღლისა და დეკლარანტის შვილების პირადი ცხოვრების შესახებ, რის შედეგად მათ

გამჟღავნებას შეეძლო მონაცემთა სუბიექტების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა. დეკლარაციით განსაზღვრულმა მონაცემებმა შეიძლება, გამოავლინოს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, როგორიცაა მონაცემთა სუბიექტის თანაცხოვრება ან ქორწინება იმავე სქესის სხვა ადამიანთან. აღნიშნულის გამჟღავნებამ კი შესაძლოა, გამოიწვიოს მონაცემთა სუბიექტების პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი შეზღუდვა.

შესაბამისად, ლიეტუვის სასამართლომ შეაჩერა ეროვნული სამართლებრივი წარმოება და საქმე ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად შემდგომი განხილვის მიზნით, ევროპულ სასამართლოს გადასცა.

ფოტო: european-union.europa.eu

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირადი ინტერესების დეკლარაციების შინაარსის შეგროვებასა და შემოწმებაზე პასუხისმგებელი საჯარო ორგანოს მიერ დეკლარაციების ვებგვერდზე გამოქვეყნება, რომლის მეშვეობით შესაძლებელია არაპირდაპირ გამჟღავნდეს პირის სექსუალური ორიენტაცია, წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებას GDPR-ის (და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის წინა რეჟიმის) შესაბამისად.

ევროპული სასამართლო დაეთანხმა ლიეტუვის სასამართლოს მოსაზრებას, რომ დეკლარანტის მეუღლის, თანამცხოვრები პირის ან პარტნიორის სახელის სპეციფიკური მონაცემებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, დადგინდეს გარკვეული ინფორმაცია დეკლარანტის სექსუალურ ცხოვრებასთან ან მის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, უფრო ფართო დონეზე დადგინდა, რომ პერსონალური მონაცემები, რომლის მეშვეობით, ჯვარედინი მითითებით ან დასკვნის საშუალებით, შესაძლებელია პირის სექსუალური ორიენტაციის იდენტიფიცირება, წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს, მაშინაც კი, თუ პერსონალური მონაცემები პირდაპირ არ გამოხატავს პირის სექსუალურ ორიენტაციას.

ამ გადაწყვეტილების შედეგად ევროკავშირში, მოქმედმა ორგანიზაციებმა ინდივიდის მეუღლის, თანამცხოვრები პირის ან პარტნიორის შესახებ ისეთი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, როგორიცაა სახელი ან ფოტო, უნდა იხელმძღვანელონ GDPR-ის მე-9 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობებით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების შესახებ.

ევროპულმა სასამართლომ ხელისუფლების მიერ მომჩივნის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების სათანადოდ დაუცველობის გამო ევროპული კონვენციის დარღვევა დაადგინა

30.08.2022

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ფოტო: hudoc.echr.coe.int

ფაქტობრივი გარემოებები

საქმე: "Y.G. v. Russia", ეხება ხელისუფლების მხრიდან მომჩივნის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების კონფიდენციალურობის არასათანადო დაცვას, ასევე, მონაცემთა ბაზის გაყიდვის გზით მისი გამჟღავნების არასათანადო გამოძიებას.

საქმის გარემოებების მიხედვით, მომჩივანმა, რომელიც იყო აივ ინფიცირებული და ჰეპატიტით დაავადებული, შეიძინა მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავდა მოსკოვსა და მის რეგიონში მცხოვრები 400 000-ზე მეტი პირის პერსონალურ მონაცემებს, ასევე, ინფორმაციას აივ ინფექციით, შიდსითა და ჰეპატიტით დაავადებულთა შესახებ. ბაზა ასევე შეიცავდა მომჩივნის პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, მისი ჯანმრთელობის შესახებ მონაცემებს. მომჩივანმა განცხადებით მიმართა რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტს („საგამოძიებო კომიტეტი"), რომელმაც უარი განაცხადა წინასწარი გამოძიების ჩატარებაზე. მისი საჩივარი ამ გადაწყვეტილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს შეფასება

პირის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემების მხოლოდ შენახვაც კი წარმოადგენს ჩარევას კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) მნიშვნელობით.

მე-8 მუხლის უპირველესი მიზანია პირის პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრებელი და მიმოწერა დაცული იყოს ხელისუფლების თვითნებური ჩარევისაგან. როდესაც საქმე შეეხება ნეგატიურ ვალდებულებას, სასამართლომ უნდა შეაფასოს, შეესაბამებოდა თუ არა ჩარევა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს – ანუ, განხორციელდა თუ არა იგი კანონის შესაბამისად, ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და აუცილებელი იყო თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად, შესაძლებელია არსებობდეს პოზიტიური ვალდებულებებიც, რომლებიც თან ახლავს პირადი ან ოჯახური ცხოვრების ეფექტიან პატივისცემას.

აღნიშნული ვალდებულებები შესაძლებელია, გულისხმობდეს პირადი ცხოვრების პატივისცემის უზრუნველყოფის მიზნით გარკვეული ზომების მიღებას, თუნდაც ინდივიდებს შორის ურთიერთობის სფეროში. პირადი ცხოვრების პატივისცემის უზრუნველსაყოფად არსებობს სხვადასხვა გზა და ამ საკითხებზე სახელმწიფოს ვალდებულების ბუნება დამოკიდებულია პირადი ცხოვრების კონკრეტულ სადავო ასპექტზე. ცალკეულ პირთა ქმედებებისგან

პირის დაცვის სფეროში მე-8 მუხლთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საშუალების არჩევა სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებში ექცევა. თუმცა ისეთი მძიმე ქმედებების ეფექტიანი შეკავება, სადაც სადავო იქნება ფუნდამენტური ღირებულებები და პირადი ცხოვრების არსებითი ასპექტები, მოითხოვს ქმედითი სისხლის სამართლის დებულებების არსებობასა და მათ გამოყენებას ეფექტიანი გამოძიებისა და დევნის გზით.

ფოტო: freepik.com

პერსონალური მონაცემების, განსაკუთრებით, სამედიცინო მონაცემების დაცვას, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობისთვის. ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვა არსებითად მნიშვნელოვანი პრინციპია კონვენციის ყველა ხელშემკვრელი მხარის სამართლებრივ სისტემაში. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ პიროვნების პირადი ცხოვრების პატივისცემას, არამედ მისი ნდობის შენარჩუნებას სამედიცინო პროფესიისა და ზოგადად, ჯანდაცვის სერვისების მიმართ. შიდა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი გარანტიები, რათა თავიდან იქნას არიდებული კონვენციის მე-8 მუხლთან შეუთავსებელი ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების გამჟღავნება. ასეთი გარანტიების არსებობის საჭიროება გაცილებით უფრო მეტია, როდესაც საქმე ეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვას ავტომატური დამუშავების პროცესში.

ზემოაღნიშნული მოსაზრებები განსაკუთრებით საფუძვლიანია პიროვნების აივ ინფექციის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით. ასეთი მონაცემების გამჟღავნებამ შეიძლება, მკვეთრად იმოქმედოს პირის პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, ასევე, სოციალურ და შრომით ურთიერთობებზე. ამასთანავე, მან შეიძლება, ხელი შეუშალოს პირებს დიაგნოზის დადგენაში ან მკურნალობის საშუალების მოძიებაში. შესაბამისად, ამგვარი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესები მნიშვნელოვნად გადაწონის დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციულობას. ასეთი ჩარევა არ შეესაბამება კონვენციის მე-8 მუხლს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი გამართლებულია აღმატებული საჯარო ინტერესებით (§§40-45).

სადავო არ გამხდარა, რომ მხოლოდ ხელისუფლებას ჰქონდა წვდომა მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა უმეტეს ნაწილზე, როგორიცაა სისხლის სამართლის ჩანაწერები. ამასთანავე, არც ის ფაქტი გამხდარა სადავო, რომ წარსულში, მომჩივნის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში, გამომძიებელმა ინფექციური საავადმყოფოდან მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

ინფორმაცია გამოითხოვა. მიუხედავად იმისა, რომ სადავო იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მონაცემთა ბაზის შექმნის საკითხი, სხვა ახსნა არ არსებობდა, გარდა იმისა, რომ სახელმწიფო ორგანოებმა, რომლებსაც ჰქონდათ წვდომა მოცემულ მონაცემებზე, ვერ შეძლეს კონფიდენციალურობის დარღვევის პრევენცია. შედეგად, აღნიშნული მონაცემები გასაჯაროვდა, რაც წარმოადგენდა მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობასაც.

კონფიდენციალურობის ამ მძიმე დარღვევის გარემოებები არასოდეს გამოკვლეულა. ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების გამჟღავნების თავიდან არიდების მიზნით, სასამართლომ არაერთხელ გაამახვილა ყურადღება სათანადო გარანტიების მნიშვნელობაზე. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ დაიცვა მომჩივნის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების კონფიდენციალურობა, რითაც ასევე დაირღვა შესაბამისი შიდა რეგულაციები.

მიუხედავად იმისა, რომ კონფიდენციალურობის სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით საქმეებზე, სისხლისსამართლებრივი დაცვის საშუალება ყოველთვის არ არის აუცილებელი და სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საშუალებები შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად, ევროპულ სასამართლოში საჩივრის შეტანამდე, მომჩივნისთვის არცერთი სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საშუალება არ იყო ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, მომჩივნის ბრალდებები ეხებოდა მისი ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების, როგორც დიდი რაოდენობით მონაცემების ნაწილის, გამჟღავნებას, რაც დადასტურებული იყო შესაბამისი მტკიცებულებებით. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ასეთი მნიშვნელოვანი დარღვევის პირობებში, პრაქტიკული თვალსაზრისით, დამოუკიდებლად მოქმედ მომჩივანს არ გააჩნდა ეფექტიანი საშუალება ამ ქმედებების ჩამდენი პირების გამოსავლენად, მათი ჩართულობის დასადასტურებლად და შიდა სასამართლოებში მათ წინააღმდეგ სამართალწარმოების დასაწყებად. შესაბამისად, საგამოძიებო კომიტეტში საჩივრის შეტანა არ შეიძლება ჩაითვალოს მისი უფლებების დაცვის შეუსაბამო გზად. თუმცა ხელისუფლებამ არ გამოიძია აღნიშნული საქმე, არსებული მტკიცებულებების, პირად ცხოვრებაში ჩარევისთვის დევნის დასაწყებად სამართლებრივი ბაზის არსებობისა და გამოძიების დაწყების ხელისშემშლელი გარემოებების არარსებობის მიუხედავად.

შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება ხელისუფლებამ ვერ შეასრულა, რითაც დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (§§ 46-52).

ფოტო: freepik.com

ლატვიის მონაცემთა დაცვის სახელმწიფო ინსპექციამ გამოაქვეყნა მითითებები მონაცემთა დაცვის ოფიცრის როლის შესახებ

12-19.08.2022

ლატვიის მონაცემთა დაცვის სახელმწიფო ინსპექციამ ("DVI") 2022 წლის 12 აგვისტოს გამოაქვეყნა სახელმძღვანელო მონაცემთა დაცვის ოფიცრის როლის შესახებ. კერძოდ, სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:

- არის პირი, რომელსაც აქვს გამოცდილება მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასა და მონაცემთა დაცვის პრაქტიკულ გამოყენებაში;
- ეხმარება მენეჯმენტს კონკრეტულ ორგანიზაციაში პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში;
- იყენებს ექსპერტულ ცოდნას, წარადგენს დამოუკიდებელ მოსაზრებებს ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი ან უკვე განხორციელებული პერსონალური მონაცემების დამუშავების აქტივობების მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციასთან (GDPR) და სხვა მოქმედ კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობის შესახებ.

ფოტო: ecommercegermany.com

სახელმძღვანელოში ხაზგასმულია, რომ კარგი პრაქტიკაა მონაცემთა დაცვის ოფიცრის ჩართვა ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი ან მიმდინარე მონაცემთა დამუშავების ნებისმიერ პროცესში. თუმცა სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მიერ გაცემული რჩევის მიუხედავად, ორგანიზაცია, რომელმაც მონაცემთა დამუშავების პროცესებში ჩართო მონაცემთა დაცვის ოფიცერი, პასუხისმგებელი რჩება პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელო მიუთითებს, რომ მონაცემთა დაცვის ოფიცრის პოზიცია არ შეიძლება იყოს კომპრომეტირებული იმ შემთხვევებში:

- როდესაც მონაცემთა დაცვის ოფიცრის მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, მაგრამ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა გასცა კომპეტენტური რჩევა;
- როდესაც მონაცემთა დაცვის ოფიცერი არ იყო ჩართული მონაცემთა დამუშავების მნიშვნელოვან საკითხებში.

"DVI"-მ 2022 წლის 19 აგვისტოს გამოაქვეყნა ინსტრუქცია მონაცემთა დაცვის ოფიცრის ამოცანებისა და ფუნქციების შესახებ, 2022 წლის 12 აგვისტოს იმავე თემაზე ცალკეული სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ. კერძოდ, ინსტრუქციაში აღნიშნულია, რომ მონაცემთა დავის ოფიცრის ძირითადი ფუნქციაა, იყოს ორგანიზაციის წამყვანი კონსულტანტი პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებში.

ფოტო: gagdpr.com

ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს, რომ:

- აუდიტორის მსგავსად, მონაცემთა დაცვის ოფიცერი მიაწვდის ორგანიზაციას დამოუკიდებელ შეფასებას ორგანიზაციის არსებული ან დაგეგმილი მონაცემთა დამუშავების შესახებ.
- მონაცემთა დაცვის ოფიცერმა უნდა შეამოწმოს ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი და უკვე განხორციელებული მონაცემთა დამუშავების აქტივობები და გააანალიზოს ამ აქტივობების შესაბამისობა მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მოთხოვნებთან.
- მონაცემთა დაცვის ოფიცერმა უნდა აცნობოს ორგანიზაციის მენეჯმენტს დასკვნების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, გასცეს რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ორგანიზაციაში პერსონალური მონაცემების დამუშავება და დაცვა.
- მონაცემთა დაცვის ოფიცრის ძირითადი ამოცანები დაკავშირებულია ორგანიზაციის საქმიანობის GDPR-თან შესაბამისობის მონიტორინგთან და ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზაციას შეუძლია მონაცემთა დაცვის ოფიცერს დაავალოს შიდა აუდიტორის მსგავსი მოვალეობები, თუმცა მონაცემთა დაცვის სპეციალიზებულ სფეროში.

სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ საბოლოო გადაწყვეტილება განსახორციელებელ ქმედებებზე მიიღება ორგანიზაციის მენეჯმენტის შეხედულების შესაბამისად, მაგრამ მონაცემთა დაცვის ოფიცრის აზრი უნდა იქნეს გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების დაგეგმილი დამუშავების შესახებ გადაწყვეტილებაში.

საფრანგეთის საზედამხედველო ორგანომ კომპანიას ჯარიმის სახით 600 000 ევრო დააკისრა

17.08.2022

საფრანგეთისა (CNIL) და ევროპის სხვა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებმა არაერთი საჩივარი მიიღეს ფრანგული სასტუმროების ჯგუფის, “ACCOR”-ის მიმართ.

ფოტო: cnil.fr

“CNIL”-ის მიერ ჩატარებული შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ როდესაც პირი სასტუმროს პერსონალთან ან “ACCOR”-ის ჯგუფის სასტუმროების ერთ-ერთ ვებგვერდზე ჯავშანს აკეთებდა, მას ავტომატურად ეგზავნებოდა

საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას პარტნიორების კომერციული შეთავაზებების შესახებ. საინფორმაციო ბიულეტენის მიღებაზე თანხმობის გრაფა წინასწარ იყო მონიშნული.

“CNIL”-მა ასევე აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც მეორდებოდა რამდენიმე კვირის განმავლობაში, მომხმარებელთა მნიშვნელოვან ნაწილს შეტყობინებების მიღების შეწყვეტის მოთხოვნაში ხელს უშლიდა.

ვინაიდან აღნიშნული დამუშავების ოპერაციები ხორციელდება ევროკავშირის არაერთ ქვეყანაში, “CNIL”-მა გადაწყვეტილების პროექტი შესაბამის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს წარუდგინა. ერთ-ერთი ასეთი ორგანო გადაწყვეტილების პროექტს არ დაეთანხმა, ამდენად, საკითხი განსახილველად მონაცემთა დაცვის ევროპულ საბჭოს (“EDPB”) გადაეცა. ამ პროცედურის შედეგად, “EDPB”-მ “CNIL”-ს დაავალა გადაეხედა ჯარიმის ოდენობა და გაეზარდა იგი. შედეგად, “CNIL”-მა “ACCOR”-ს 600 000 ევროს ოდენობით ჯარიმა დააკისრა.

“CNIL”-მა გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაითვალისწინა კომპანიის სავარაუდო დარღვევების რაოდენობა, ის ფაქტი, რომ აღნიშნული დარღვევები ეხებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის რამდენიმე ფუნდამენტურ პრინციპს და რომ იგი პირთა უფლებების არსებით დარღვევას წარმოადგენდა, ასევე, ყურადღება გამახვილდა დაინტერესებულ პირთა რაოდენობასა და კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ფოტო: freepik.com

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge